პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 153 (7214)

10 1982 წ. აგვისტო, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

თერგი იტყოდა...

ამბობენ, პატარას დიდი გული აქვსო. თერგიც პატარაა, მაგრამ, ერთი ნახეთ, როგორი დიდგულა და ამაყია. ნიადაგ შფოთავს და ბორგავს. მისი ბობოქარი ტალღები მოგორავს, ზათქით ეხლება ნაპირებს და თითქოს ყველაფერს წალეკვით ემუქრება.

დიდ ილიას იმიტომაც მოსწონდა თერგი, რამეთუ იგი „სახე ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა".

...ყაზბეგის რაიონში გაღვიძებული ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების სახე არცთუ ისე შესამჩნევია. თერგს რომ ლაპარაკი შეეძლოს, ბევრ რამეს გვეტყოდა. გვეტყოდა, მაგალითად, რომ ხევიდან ბარად ჩავიდნენ სპორტის ჭეშმარიტი მოყვარულებისთვის კარგად ცნობილი ათლეტები: დ. ჯანუყაშვილი, ტ. ალიბეგაშვილი, გ. მარსაგიშვილი, ლ. ლუდუშაური და სხვები. მაგრამ დღეისთვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდები მოკლებულნი არიან მოხევეთაგან ასეთ შევსებას.

თერგი იმასაც გვეტყოდათ, რომ „ხევის პატარძალზე" — მყინვარწვერზე დაიწყო საბჭოთა მთამსვლელობის აკვანი, რომ ჩვენი ალპინიზმის გარიჟრაჟზე კაშკაშა ვარსკვლავებივით ამობრწყინდნენ უებრო მთამსვლელები და გამყოლები გ. წიკლაური, ი. კაზალიკაშვილი და სხვები. მაგრამ ტრადიცია დავიწყებას მიეცა — ყაზბეგის რაიონის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა ძველთაძველი მასობრიობა შეჩერდა და ლაშის მყინვარწვერივით გაიყინა. მოხევეები ხედავდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და სხვა რესპუბლიკებიდან ყაზბეგში ამოსულ მთამსვლელებს, ესმით მათი წარმატებები ამბები, მაგრამ თვითონ სათოფეზე არ ეკარებიან მთებს.

ყაზბეგში მოსწავლეებისა და ახალგაზრდების ერთ ჯგუფს ვესაუბრე მთამსვლელობაზე — დაინტერესებდა მათი დამოკიდებულება ალპინიზმისა და მეკლდეურობისადმი.

ვფიქრობდი, რომ „ხევის პატარძალი" მათაც უხმობდათ და ანდამატივით იზიდავდათ, მაგრამ მოვტყუვდი.

— მთაში რაი დაგვრჩენია, რაისთვი უნდა ვიაროთ მყინვარწვერზე? — შეიცხადეს მათ.

კაცია და გუნება! ვთქვათ და მოხევეებს აღარ ეჰაშნიკებათ ალპინიზმი. იქნებ მათ სათხილამურო სპორტი იტაცებთ? რას იტყოდა თერგი ამის შესახებ? იტყოდა, რომ ზამთრობით ორჯონიკიძიდან და სხვა ქალაქებიდან ყაზბეგში ამოდიან მოთხილამურეები და ამ მთების ფერდობებზე ოსტატდებიან. ჩვენი რაიონის ახალგაზრდობა კი მხოლოდ და მხოლოდ მაყურებლის როლში გამოდისო.

მაყურებლის როლში გამოდის! ამის მიზეზი, თავი და თავი ინერტულობა, დაუინტერესებლობა, სპორტული ბაზებისა და ინვენტარის გასაჭირია.

— დღეს რომ გითხრან, ყაზბეგელებმა მთ კომპლექსი მთლიანად ჩააბარესო, არ დაიჯეროთ, — გვეტყოდა თერგი. — არ დაიჯეროთ იმიტომ, რომ აუზი არა აქვთ და ცურვის ნორმატივებს ჩემს ბობოქარს და ცივ ტალღებში ხომ ვერ ჩააბარებდნენ. ეს სამწუხაროა, ძალიან სამწუხაროა. ყაზბეგში თითო-ოროლა კაცმა თუ იცის ცურვა. ჰოდა, არცთუ იშვიათად ხევში გლოვის ზარი გაისმის — მავანი და მავანი ზღვაზე ისვენებდა და დაიხრჩოო.

ძალზე სავალალო მდგომარეობა აქვთ აქაურ მოსწავლეებს. რაიონში სამი საშუალო და ოთხი რვაწლიანი სკოლაა და აქედან სპორტდარბაზი მხოლოდ სამს გააჩნია და ისიც ისეთი, როგორზეც იტყვიან, თაგვი კუდს ვერ მოიქნევსო. ყაზბეგის საშუალო სკოლის სპორტდარბაზი ავარიულ მდგომარეობაშია და მის დანგრევას აპირებენ. ჰოდა, დარჩებიან ყაზბეგელები სპორტდარბაზის გარეშე.

ხომ ვაგიგონიათ, თუ გული გულობსო... მოხევეები თუ გულით მოინდომებენ, ინვენტარიც ექნებათ, სპორტული დარბაზებიც, მოედნებიც და ბევრი ნახეთ...

მოუნდომებლები რომ არიან, ეს თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს. ერთი გადახედეთ ყაზბეგის ფეხბურთელთა სარბიელს, კალათბურთის მოედანს, საცურაო აუზს, ტირს... მათ უგულისყურო დამოკიდებულების უტყუარი ბე-

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •

სურათზე: ასე გამოიყურება ყაზბეგის კალათბურთის მოედანი.



● მსოფლიო ჩემპიონატი საცურაო სახეობებში

ი. გერასიმოვას ნადავლი

გუაიაკილში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ცურვაში, სინქრონულ ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში.

შეჯიბრების ბოლოსწინა დღეს გდრ-ის ნაკრებს კიდევ ერთი ოქროს მედალი შემატა პ. შნაიდერმა, რომელმაც ყველასთვის მოულოდნელად გაიმარჯვა ქალთა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.11,79. თბილისელმა მოცურავემ ი. გერასიმოვამ თავისივე საკავშირო რეკორდი 0,33-ით გააუმჯობესა და IV ადგილი დაიკავა (2.17,12).

4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში გდრ-ის ქალთა კვარტეტმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 4.05,88. ამ სახეობაში მეორე იყო ამერიკელთა გუნდი — 4.08,12, ხოლო მესამე — საბჭოთა ნაკრები. ჩვენმა გოგონებმა გორჩაკოვამ, ვარგანოვამ და პოკასმა თბილისელ გერასიმოვასთან ერთად სსრ კავშირის რეკორდი დაამყარეს — 4.12,36. ამრიგად, განთიადელი გერასიმოვა საქართველოდან პირველი სპორტსმენი გახდა, რომელმაც მოცურავეთა მსოფლიო ჩემპიონატში მედალი მოიპოვა.

200 მეტრზე ბატერფლაით ვაჟთა შეჯიბრებაში ევროპის რეკორდით გაიმარჯვა მ. გროსმა (გფრ) — 1.58,85. მეორე ადგილი წილად ხვდა კუბელ ს. ფესენკოს — 1.59,91, ხოლო მესამე — ამერიკელ კ. ბერდსლის — 2.00,08.

800 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა ცურვაში უძლიერესი იყო ამერიკელი კ. ლაინეხენი — 8.27,48.

შეჯიბრების ბოლო დღეს 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ჩემპიონი გახდა ქდანოველი ა. სიდორენკო — 2.03,30. ვერცხლის მედალი მოიპოვა 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში მოცურავე საბჭოთა ვაჟების კვარტეტმა, რომელმაც ევროპის რეკორდი დაამყარა — 3.42,86. აქ პირველი ადგილი წილად ხვდათ ამერიკელებს. მათ მსოფლიო რეკორდით გაიმარჯვეს — 3.40,84.

შეჯიბრების დასკვნით დღეს კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა: თავი გამოიჩინა გდრ-ის წარმომადგენელმა კ. ზირბმა, რომელმაც გაიმარჯვა ქალთა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 2.09,91. მისმა თანაგუნდელმა ი. გაისლერმა გაიმარჯვა ქალთა 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში — 2.08,66.

კოშკიდან წყალში ხტომაში ამერიკელმა ა. ლუგანისმა, ისევე როგორც ტრამპლინიდან ასპარეზობაში, ოქროს მედალი მოიგო — 621.63. მეორე იყო მინსკელი ვ. ალეინიკი — 590,37, ხოლო მესამე — კ. კნუტსი (გდრ) — 578,55.

წყალბურთელთა პაექრობის დასკვნით ტურში საბჭოთა ნაკრებმა ფრედ — 7:7 ითამაშა უნგრეთის გუნდთან და 5 ქულით ოქროს მედალი მოიპოვა. უნგრელებმა 4 ქულა დაუგროვდათ და მეორე ადგილზე გავიდნენ.

სულ საბჭოთა სპორტსმენებმა გუაიაკილში 5 ოქროს, 9 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ამერიკელ სპორტსმენებს შესაბამისად ასეთი მაჩვენებლები აქვთ: 13, 11, 10, ხოლო გდრ-ის წარმომადგენლებს — 12, 9, 5.

• • •

სურათზე: ი. გერასიმოვა.

● ჭადრაკი

საკავშირო ნახევარფინალებზე

პავლოდარი

აქაურ ნახევარფინალში გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება და შედგა კიდევ ორი (VII — VIII) ტური.

ბ. იტკისმა (კიშინიოვი) დაამარცხა ზ. სტურუა. ორი პარტია მოიგო ო. ძიუბანმა (პავლოდარი). მან სძლია სტურუას და ა. კუზმინს (მოსკოვი). გ. აგზამოვმა (ტაშკენტი) მოუგო ლ. იურტაევს (ფრუნზე), ხოლო გ. გიორგაძემ — ა. შნეიდერს (ლვოვი). ყაიმით დამთავრდა გიორგაძის შეხვედრები გ. ტიმოშჩენკოსა (ნოვოსიბირსკი) და კუზმინთან. ასევე ყაიმით დასრულდა ბ. ასალოვ (ალმა-ათა) — ა. ერმოლინსკის (ლენინგრადი), ნ. რაშკოვსკი (ალმა-ათა) — ა. კოჩიევის (ლენინგრადი) და ასალოვ — იტკისის შეხვედრები.

VII ტურში ტიმოშჩენკომ დაამარცხა ძიუბანი, რაშკოვსკიმ — იტკისი, აზმაიფარაშვილმა — ასალოვი, სტურუამ — ხუზმანი, ს. ლპუტიანმა (ერევანი) — აგზამოვი. ყაიმით დამთავრდა იურტაევ — კუზმინისა და ბ. გულკო — რ. ხოლმოვის (ორიოლი — მოსკოვი) პარტიები. გადაიდო გიორგაძე — კოჩიევისა და შნეიდერ — ერმოლინსკის პარტიები.

VIII ტურში გიორგაძემ სძლია იტკისს, იურტაევმა — ასალოვს, ხოლმოვმა — ხუზმანს. დაზავდნენ რაშკოვსკი — ერმოლინსკი, კუზმინი — გულკო, სტურუა — ლპუტიანი. გადაიდო კოჩიევ — აგზამოვის, ტიმოშჩენკო — აზმაიფარაშვილისა და შნეიდერ — ძიუბანის შეხვედრები.

რვა ტურის შემდეგ ხოლმოვს, რაშკოვსკისა და აზმაიფარაშვილს 5,5-5,5 ქულა აქვთ, ოღონდ ქართველ ოსტატს ერთი პარტია გადადებული აქვს.

გ. ხომერიკი.

ივანო-ფრანკოვსკი

სსრ კავშირის ვაჟთა 50-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში დამთავრდა გადადებული პარტიები და შედგა VII ტური.

ქ. ლერნერმა (ოდესა) დაამარცხა ს. კორზუბოვი (უკრაინა), ი. დორფმანმა (ლვოვი) — მ. ჩიბურდანიძე, ა. პეტროსიანმა (ერევანი) — ვ. დიდიშკო (მინსკი). ყაიმით დამთავრდა ლერნერ-ს. მაკარიჩევის (მოსკოვი) პარტია.

VII ტურში ა. პეტროსიანმა მოუგო კორზუბოვს, გუფელდმა — დიდიშკოს, ყაიმით დამთავრდა მ. ჩიბურდანიძე — ს. გორელოვის (მოსკოვი), ვ. სალოვ (ლენინგრადი) — ლ. ოლის (ესტონეთი) პარტიები. გადაიდო მაკარიჩევ — დორფმანის, ე. ვასიუკოვ (მოსკოვი) — ლ. იუდასინის (ლენინგრადი), ა. კაკაგელდიევ (აშხაბადი) — ა. მიხალჩიშინის (ლვოვი) და ლერნერ — ა. სმაგინის (მოსკოვი) პარტიები.

შვიდი ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერია სალოვი — 5 ქულა, 4,5 ქულა მოაგროვა გორელოვმა, 4-4 ქულა აქვთ ი. ელვესტს (ტალინი), იუდასინსა და ვასიუკოვს. გუფელდს 3 ქულა აქვს, ხოლო ჩიბურდანიძეს 2,5 და 1 გადადებული პარტია.

მოგილიოვი

ქალთა 42-ე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში შედგა VII ტური. სოხატოვამ დაამარცხა დუბილევსკაია, გოლუბევამ — ზაგორსკაია, ახშარუმოვამ — პინჩუკი. ყაიმით დამთავრდა ლევიტინა — ლელჩუკის, ტიტორენკო — კულიკოვას პარტიები. თ. მესხმა აშკარა მოსაგებ პოზიციაში ცაიტნოტის გამო უხეშად ითამაშა და წააგო იოაბაბიანთან. ხოროვეცი — მინოვინასა და ხასანოვა — კინსიგის პარტიები გადაიდო.

შვიდი ტურის შემდეგ ახშარუმოვას 5 ქულა აქვს, 4,5 ქულა მოაგროვეს მესხმა, ხოროვეცმა, გოლუბევამ და კულიკოვამ.

თ. ხარლამიძე.

● კრივი

ჩემპიონები გამოვლინდნენ

კვირა საღამოს დონეცკის სპორტის სასახლეში გაიმართა ჩვენი ქვეყნის მოკრივეთა 48-ე პირადი პირველობის ფინალური ბრძოლები, რომლებმაც ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები გამოავლინა. უნდა ითქვას, რომ გადამწყვეტ შეხვედრებს დაძაბულობა არ აკლდა და ამან დიდი დაღი დაასვა თვით ბრძოლების ხარისხს. აქ, პირველ რიგში, თვით შეჯიბრების ხანგრძლივობამ თქვა თავისი სიტყვა: ყველა ერთნაირად ვერ ეგუება ასეთ რეგლამენტს, როცა შეჯიბრება 10 დღეს გრძელდება.

ფინალური შეხვედრები ტრადიციისამებრ ყველაზე მსუბუქი წონის (48 კგ) წარმომადგენლებმა, არმიელმა სპორტსმენებმა — რ. ხუსნუტდინოვმა და ა. კლიუევმა გახსნეს. სამი რაუნდის შედეგად მოგება ხუსნუტდინოვს მიეკუთვნა. აქვე უნდა ითქვას, რომ თორმეტიდან თერთმეტ წონაში მოკრივეებს სამივე რაუნდი დასჭირდათ ურთიერთობის გასარკვევად. მხოლოდ პირველი მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონმა ა. იაგუბკინმა ორ წუთზე ნაკლები „დახარჯა", გამარჯვება რომ მოეპოვებინა არმიელ მ. ბრეხოვთან შეხვედრაში.

დონეცკელ მოკრივეს არც მეორე უმჩატესი წონის (51), მსოფლიო ჩემპიონი ნევინომისკელი ი. ალექსანდროვი ჩამორჩა და დამაჯერებლად სძლია ვლადივოსტოკელ ა. აბდრახმანოვს. იაგუბკინიც და ალექსანდროვიც პირველად დაეუფლნენ სსრ კავშირის ჩემპიონობას. მოსკოველი ვ. რიბაკოვისათვის (60) კი დონეცკის რინგზე ვლადიმირელი ი. გლადიშევთან ბრძოლაში მოპოვებული „ოქრო", მეშვიდე ჯილდოა.

დანარჩენ წონებში ჩემპიონები გახდნენ: კიროვოკანელი ს. ხაჩატრიანი (54), ყარაგანდელი ს. ნურკაზოვი (57), კუიბიშეველი ვ. შიშოვი (75,5), ერევნელი ი. აკოფკოხიანი (67), ჩებოქსარელები: ვ. ლაპტევი (71), ვ. მელნიკი (75), ვლადივოსტოკელი ა. კოპტევი (81) და ხარკოველი ა. ლუკსტინი (91 კგ-ს ზევით).

სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

თერგი იტყოდა...

დასასრული

ჰედი აზის. მრავალი წელია აუზი შეკეთებას მოითხოვდა, მაგრამ მზრუნველი ხელი არ გამოჩნდა. ჰოდა, დღეს იქ ადამიანების ნაცვლად ბაყაყები დაცურავენ. აუზი ანტისანიტარიის ბუდედ ქცეულა.

ტირი ისეთ დღეშია, რომ იქ თოფის სროლა შეუძლებელია. ამ ტირის შესახებ ყაზბეგის რაიონული გაზეთი „დარიალი" წერდა — 1980 წელს მისი რემონტისთვის შედგენილი ხარჯთაღრიცხვა დღესაც უმოქმედოდაა ჩაკერებული საქაღალდეში. გაზეთი პნევმატური ტირის პრობლემებზეც ამახვილებდა ყურადღებას. წერდა, რომ 1977 წელს პნევმატური ტირის ასაშენებლად პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შედგა. ტირის ასაშენებლად საჭირო 6416 მანეთის გამოყოფას საქართველოს



სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. ლუდუშაური და „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე გ. ეფხოშვილი. ბიუროზე ისიც აღნიშნეს, რომ მოისუსტებს კომკავშირის რაიონული კომიტეტის მუშაობა. მან ვერაფერი ინიციატივა გამოიჩინა ი. ყაზალიკაშვილის სახლ-მუზეუმის გასახსნელად.

ამის მერე საქმე დაიძრა. დასასრულს უახლოვდება ი. ყაზალიკაშვილის სახლ-მუზეუმის მოწყობა. წლეულს, რაიონის ისტორიაში პირველად გაიმართა სპორტული ზეიმი ზამთრის სახეობებში. შარშან თბილისის უნივერსიტეტელებთან ერთად მოეწყო ორი ალპინიადა. რაიონში 28 ფიზკულტურის კოლექტივიდან აქამდე არც ერთს არ ჰყავდა ფიზკულტურის მეთოდისტი. ახლა კი შვიდგან არსებობს. საქართველოს ტელევიზიის ინიციატივით რაიონში კალათბურთის ორი მოედანი მოეწყო. შარშან ჰარბი შემოსავლიდან რაიონის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისთვის 4773 მანეთი გამოყვეს. ამ თან-

[illegible]



პრესა და ფეხბურთი: ღია თამაშის წყურვილი

[illegible]

ასთან კავშირში ერთობ გაუგებრად გვესახება მოსაზრება ესპანეთში ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელებისა, რომლებიც ნაკრების წარუმატებლობას ძირითადად მიაწერენ იმ მოთამაშეთა ფსიქოლოგიურ მოუმზადებლობას, რომლებსაც არ ჰქონდათ ასეთ საპასუხისმგებლო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება, როგორიცაა მსოფლიო ჩემპიონატი. განა ნაკრების ხელმძღვანელთა მოვალეობაში არ შედის გუნდის ფსიქოლოგიური მომზადება?

გონებიდან არ გამოდის ბრაზილიელი კოლეგა, რომელიც ბარსელონას პრეს-ცენტრში ძალზე ტემპერამენტიანად გამოთქვამდა გაუგებრობას ჩვენი მწვრთნელების მოქმედების გამო, რომლებმაც „მონტანიას" საწვრთნელი ბაზის გზა გადაუკეტეს ჟურნალისტებს.

— ამდენი ხალხი მთელს მსოფლიოში, — თუ ცდილობდა ენერგიულად ეჩვენებინა ხელებით, რამდენი, — ამდენი ხალხი დაინტერესებულია თქვენი გუნდით, ბევრს ელიან მისგან, სურთ გაიგონ, რა მოსდის მას, ჩვენ კი შესაძლებლობას მოკლებულნი ვართ ავუხსნათ მათ ეს.

— თქვენ რატომ უარყავით წინა სამატჩო პრეს-კონფერენციები? — ჰკითხეს ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელს ბარსელონაში ჟურნალისტებთან მის ბოლო ოფიციალურ შეხვედრაზე — რატომ სხვა ნაკრებების მწვრთნელები ატარებდნენ მათ, თქვენ კი უარი თქვით?

მომიტევოს ღრმადპატივცემუ-

[illegible]

დაუგდოს და დასკვნები გამოიტანონ. როგორი — ეს მათი საქმეა. მაგრამ ამასთან საჭირო არაა მათ თავიანთი თავი უცოდველად და კრიტიკისაგან თავისუფლად ჩათვალონ მხოლოდ იმის გამო, რომ შენს კრიტიკოსს თითქოს და შენოდენი გამოცდილება არა აქვს. თანასწორი, გულღია, დაე, ხშირად მწვავე დიალოგი ფეხბურთსა და მის აუდიტორიას შორის, რომელიც ერთიან კომპლექსს შეადგენს, — თვით თამაშის პროგრესის საფუძველი და პირობაა.

თეიმურაზ მამალაძე.

თბილისი.

გაზეთი „სოვეტსკი სპორტი"

8 აგვისტო, 1982 წ.

მსოფლიო ჩემპიონატის ექო

ორი მედალი

[illegible]

ებით 4-8 კილომეტრს. ცალკეულ შემთხვევებში ზოგიერთი ნახევარმცველი 10 კილომეტრსაც კი ფარავს.

ამავე სპეციალისტთა დაკვირვებით ყოველი მატჩის წმინდა სათამაშო დრო დაახლოებით 60 წუთია.

უმაღლესი ლიგა

[illegible]

ნის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის I წრის გადატანილი მატჩი თბილისის „დინამოსა" და ლენინგრადის „ზენიტის" ფეხბურთელთა შორის.

თამაში დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 2:1.

• • •

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 10 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." მნ.	19	12	5	2	35—20	29
„მეტალ."	19	9	5	5	23—16	23
„არარატი"	19	8	7	4	25—24	23
„დინ." თბ.	18	9	4	5	31—28	22
„ზენიტი"	20	7	7	6	25—22	21
„დინ." კ.	18	7	6	5	25—16	20
„სპარტ."	18	7	6	5	24—17	20
„დნეპრი"	19	6	8	5	21—22	20
„ფახთაკ."	19	6	7	6	21—22	19
„დინ." მ.	19	7	4	8	23—23	18
„ყუბანი"	18	6	6	6	24—22	18
„ტორპ." მ.	18	6	5	7	17—16	17
„ჩერნომ."	18	4	9	5	16—17	17
ცსკა	19	6	3	10	21—28	15
„ქაირათი"	19	4	7	8	23—31	15
„ნეფთჩი"	19	5	4	10	24—35	14
„ტორპ." ქ.	19	3	7	9	22—31	13
„შახტ."	18	3	6	9	15—25	12

[illegible]

I ლიგა

[illegible]

(ერევანი) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 6:0, „არაზი" (ნახიჩევანი) — „ხაზარი" (ლენქორანი) 0:0, „კოტაიკი" (აბოვიანი) — „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) — 3:1.

გადადებულია სტეფანაკერტის „ყარაბახისა" და აშხაბადის „კოლხოზჩის" შეხვედრა.

II ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოტაიკი"	19	15	2	2	48—13	32
„კოლხეთი"	19	10	6	3	33—20	26
„ლოკ." ს.	19	9	8	2	43—20	26
„ხაზარი"	18	9	4	5	27—16	22
„დინ." ბ.	18	10	1	7	31—24	21
„დინ." ს.	18	8	5	5	20—14	21
„შირაკი"	18	9	2	7	29—21	20
„მეშახტე"	19	9	1	9	24—29	19
„სპარტ."	19	8	3	8	28—28	19
„ავტომ."	17	9	0	8	15—26	18
„კოლხოზ."	18	8	2	8	29—24	18
„ყარაბ."	17	6	5	6	27—23	17
„დილა"	19	6	5	8	21—21	17
„არაზი"	19	5	3	11	16—34	13
„ოლიმპია"	18	2	6	10	19—35	10
„ლოკ." თბ.	19	2	4	13	16—42	8
„ქიაფაზი"	18	2	1	15	12—48	5

ქულა ქულას ემატება

დნეპროპეტროვსკი. „მეტეორის" სტადიონი. 7 აგვისტო.

„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:1 (0:0).

„ᲓᲜᲔᲞᲠᲘ": კრაკოვსკი, კუტუზოვი, დილაი, ზუევი, ლისენკო, დამინი, ლიტოვჩენკო, სერებრიანსკი (ოლინევი), უსტიმჩიკი, პოგორელოვი, ფედორენკო (ლიუტი).

„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ": ქანთარია, ჟიბა, ჰილაია, ჰელიძე (ბურკაძე), კურტანიძე, ქორიძე, ჩქარეული, კორძაიძე (გაბიჩვაძე), ჟორდანია, დარჯანია, ა. კვერნაძე.

მსაჯი ნ. კოზიაკოვი (ვორონეჟი).

გააფრთხილეს ლიტოვჩენკო.

დუბლიორები— 8:2. ქუთაისელთაგან ბურთები გახტანეს ქვირიამ და მეგრელაძემ.

სულ ახლახან ქუთაისის ტორპედოელთა პრობლემა მეტისმეტად მწვავედ იდგა. ლაპარაკი იყო არა უბრალოდ სატურნირო ცხრილში მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, არამედ იმაზე, რომ გუნდს როგორმე შეენარჩუნებინა ადგილი უმაღლეს ლიგაში.

ქუთაისელთა გუნდის ბედი ყველას გვაწუხებს, ამიტომ მათ, ვისაც უშუალოდ ეხება „ტორპედოს" ავ-კარგი, ვისაც რეალური დახმარება შეუძლია აღმოუჩინოს გუნდს, მიმართეს სათანადო ზომებს, კოლექტივში შეიცვალა შემადგენლობა, საბრძოლო მოთამაშეთა შორის მოხდა საჭირო კო-

[illegible]

საიმედო პერსპექტივები. ქუთაისელებს შეუძლიათ თამამად იბრძოლონ საპატიო, თუმცა ძალზე ძნელი მიზნის შესასრულებლად.

პირველი, რაც გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, ისაა, რომ ტორპედოელები ამ წარმატებისთვის იბრძვიან არა პასიური, ყრუ დაცვის იმედით, არამედ გაბედული, შეტევითი თამაშით, მაღალი ტემპით, თამამი აგრესიულობით და გააზრებული, კომბინაციური ტაქტიკით.

რთული ამოცანების წინაშე იმყოფებოდნენ ქუთაისელები დნეპროპეტროვსკში, მაგრამ მათ თავგამოდებით იბრძოლეს და თუმცა პირველ ტაიმში საერთო უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, მათაც საკმაოდ ძლიერი კონტრთამაში შექმნეს. მცველებმა შეძლეს „დნეპრის" წინ წაწეული სახიფათო ფორვარდის პოგორელოვის ნეიტრალიზება, ამას გარდა, მეტოქის კართან მეტად სახიფათო მომენტები შექმნეს ჩქარეულმა, დარჯანიამ, ა. კვერნაძემ.

ასევე დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგაც, გოლის გატანა შეეძლოთ მასპინძლებსაც, სტუმრებსაც, კერძოდ, დარჯანიას მიერ შორი მანძილიდან დარტყმული ბურთი ოდნავ აცდა კარს.

63-ე წუთზე ტორპედოელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც კარგად გამოიყენა ლისენკომ — 1:0.

მატჩის ბოლო 15-20 წუთი ქუთაისელთა აქტიური შეტევებით

[illegible]

ევროპა — „დანარჩენი მსოფლიო"

[illegible]

● ფაში

ჩემპიონი გამოვლინდება 12 პარტიაში

ბუშის მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნა მატჩი მოშამე ქალთა მსოფლიო პირველობაზე. ერთმანეთს ხვდებიან ო. ლევინა (ხარკოვი) — ე. ალტშული (მინსკი).

ამ შეჯიბრებამდე (1974 წლიდან) ჩემპიონი ვლინდებოდა პირველობებში. 4-ჯერ ზედიზედ მსოფლიო ჩემპიონი იყო მოსკოველი სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. მიხაილოვსკაია, შემდეგ კი — მინსკელი ექიმი-ფსიქიატრი ლ. სოხნენკო და ხარკოველი ო. ლევინა.

მსოფლიოს შაშის ფედერაციის (ფმფდ) გადაწყვეტილებით, მატჩში გათამაშდება 12 პარტია. მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონს ო. ლევინას მატჩის ყაიმით დამთავრებაც აკმარებს, რათა შეინარჩუნოს წოდება.

მეტოქეები ერთმანეთს 11-ჯერ შეხვდნენ. სოლიდური უპირატესობა მსოფლიო ჩემპიონის მხარეზეა — 7,5-3,5.

● თანამედროვე ხუთჭიდი

საფრანგეთის ქალაქ კომპიენში დაიწყო თანამედროვე ხუთჭიდელ ქალთა II მსოფლიო ჩემპიონატი. როგორც ცნობილია, შარშან ლონდონში გამართულ ამგვარ ასპარეზობაში დიდი ბრიტანეთის სპორტსმენებმა მიაღწიეს წარმატებას. ამჯერად ბრძოლაში ჩაება ინგლისის, ავსტრალიის, დანიის, გფრ-ის, აშშ-ს, კანადის, მექსიკის, სსრ კავშირის, საფრანგეთისა და შვეციის კოლექტივები.

ეს ჩემპიონატი სადებიუტოა საბჭოთა ხუთჭიდელებისათვის. რომელთა შორის არიან 16 წლის ე. პუტილინა, 19 წლის ო. რეზნიკოვა, 20 წლის ს. იაკოვლევა და 21 წლის ნ. ბუქენკოვა.

● კარტინგი

რიგაში, „ბიკერნიეკის“ სპორტულ კომპლექსზე დამთავრდა საკავშირო პირადგუნდური ჩემპიონატი მცირელიტრაჟიანი მანქანებით (კარტინგი) რბოლაში, გუნდური პირველობა რსფსრ-ს ნაკრებმა მოიგო. ამ გუნდის წევრმა ვ. უხოვმა „ც-2“ კლასის მანქანებით ზედიზედ მეორედ მოიპოვა „ოქრო“, ხოლო „საკავშირო“ კლასში ა. დუბრევი (რსფსრ) პირველად გახდა ჩემპიონი. მოსკოველმა ვ. კოროლიოვმა ყველას აჯობა „ბ“ კლასის მანქანებით ასპარეზობაში. შეჯიბრებაში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 100-ზე მეტი სპორტსმენი გამოდიოდა.

პანორამა

● ოლიმპიური პრინციპით

კუბის ქალაქებში ჰავანაში, სანტიაგო-დე-კუბასა და სიენფუეგოსში დაიწყო ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების XIV სპორტული თამაშები, რომელშიც 12 ქვეყნიდან მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობამ (3500-მდე კაცი) მოიყარა თავი. ამ შეჯიბრებისათვის ყველა ბაზა საფუძვლიანად შეკეთდა. სტუმრები ოლიმპიური პრინციპით ერთად ცხოვრობენ სპორტულ „სოფელში“.

● კალათბურთი

პრაღაში დამთავრდა კალათბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი — ჩეხოსლოვაკიის დიდი პრიზის გათამაშება. საბჭოთა ნაკრებმა ბოლო მატჩში მოუგო ჩეხოსლოვაკიის I გუნდს ანგარიშით 90:76 და პირველი ადგილი დაიკავა.

● ფრენბურთი

რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში ჩატარდა ფრენბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი — „ტომასის თასის“ გათამაშება. ეს შეჯიბრება ფაქტიურად მსოფლიო ჩემპიონატისთვის ძალთა დათვალიერებაც იყო. საბჭოთა სპორტსმენებმა დასკვნითი შეხვედრა მოუგეს რუმინეთის I ნაკრებს (3:0) და მთავარი ჯილდო დაისაკუთრეს. მეორე ადგილზე გავიდნენ ჩინელები, მესამეზე — რუმინელები.

● მძლეოსნობა

ნორვეგიის ქალაქი ბერგენი მასპინძლობდა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებას. ქალთა შორის 10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში იმარჯვა ჩებოქსარელმა ა. დერევინსკაიამ — 48.11,1. შვედი ა. იანსონი მას 12,6 წამით ჩამორჩა. 5 კილომეტრზე სიარულში პირველი იყო ავსტრალიელი ს. კუკი — 23.09,2. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ლ. ხრუშჩევა ფინიშთან მეორე მივიდა. მესამე იყო ნოვოსიბირსკელი ნ. შარიპოვა.

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ხარკოველი ს. პოპოვასა და ამერიკელ ს. ბრომზერის ორთაბრძოლა 3 კილომეტრზე [illegible] საბჭოთა მძლეოსნის [illegible] დასრულდა — 8.59,30. ამერიკელი ფინიშთან თითქმის ნახევარი წუთის შემდეგ მივიდა. 200 მეტრზე ასპარეზობაში ზაპოროჟიელი ი. ოლხოვნიკოვა 0,01 წამით ჩამორჩა გამარჯვებულ დ. ბოიდს (ავსტრალია), რომლის შედეგია 23,25 წამი.

ლონდონის, „კრისტალ-პელესის“ სტადიონზე შესანიშნავი შედეგი აჩვენა მოსკოვის ოლიმპიადის ფინალისტმა სამხტომში ტ. ლორაუეიმ. მან აქ ავსტრალიის რეკორდი დაამყარა — 17,46 მ. მეორე შედეგი ჰქონდა მასპინძელ კ. კონორსს — 17,10. მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ს. ოვეტი (დიდი ბრიტანეთი) პირველი მივიდა 1500 მეტრზე რბენის ფინიშთან — 3.38,48. ქალებს 3000 მეტრზე რბენაში რუმინეთის რეკორდით გაიმარჯვა მ. პუიკამ — 8.33,78.

ჯასი ოუენსის მემორიალი ლოს-ანჯელესის სტადიონზე ჩატარდა. ფერადკანიანმა მორბენალმა ქალმა ე. აშფორდმა 100 მეტრის გარბენას 10,93 წამი მოანდომა. აქვე კ. ლუისი (ორავე — აშშ) ვაჟების სიგრძეზე ხტომაში კვლავ უძლიერესი იყო — 850 სმ.

მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ საქალაქო ჩემპიონატში ა. ბესკრომნი პირველი იყო სამხტომში (17,02 მ).

● ბალახის ჰოკეი

დასავლეთგერმანიის ქალაქ ბილინგენ-შვენინგეში მოსკოვის „სპარტაკის“ ვაჟთა გუნდმა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების სეზონი გახსნა ადგილობრივ „ერც შვენინგენთან“ მატჩით, სპარტაკელებმა იმარჯვეს — 7:3.

პროფესიული სპორტის სამყაროში

როცა სიკვდილი შენს გვერდითაა...

სახიფათო ბიზნესი, როგორიც არის „ფორმულა-1“-ის ავტორბოლები, [illegible] სისხლიან ანგარიშში კიდევ ერთი მსხვერპლი ჩაიწერა მონრეალში, — „გრან-პრის“ წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთი ეტაპის შეჯიბრებაზე დაიღუპა 24 წლის იტალიელი ავტომრბოლელი რიკარდო პალეტა. ეს 76-ე ტრაგიკული შემთხვევაა ავტოსპორტში მსოფლიო თასის ისტორიაში.

„სტარტისთანავე ვგრძნობ, რომ ჩემს გვერდით ჯდება სიკვდილი, — ამბობს ნიკი ლაუდა, — ვგრძნობ მისი გაძვალტყავებული მხარის შეხებას“. ამ სიტყვებში უნდა ვენდოთ მრბოლელს, რომელიც ნიურბურგის რკალზე (გფრ) იწვოდა მანქანაში და რომელმაც ერთხელ უკვე გადაწყვიტა თავი დაეღწია ამ სახიფათო საქმისთვის. „მე არასდროს მივუჯდები საშინელი ურჩხულების საჭეს“. — განაცხადა ცნობილმა ავსტრიელმა, რომლის სახე კატასტროფის შემდეგ სამუდამოდ დასახიჩრდა. მაგრამ ერთი თვის შემდეგ, მისი მაშინდელი შეფის ენცო ფერარის ბრძანებით იგი იძულებული გახდა სტარტი აეღო იტალიურ მონცაში.

ავტომანქანაში დაიწვა შვედი რონი პეტერსონი, დაიღუპა კლეი რეგაცონიც. სიკვდილამდე ცოტა ხნის წინ, დაბადების 40 წლის თავზე კოლეგებმა კლეის ინვალიდის ეტლი აჩუქეს. „რეგაცონმა საჩუქარი ძალზე სერიოზულად მიიღო, შესაძლოა ეტლი მას მოკლე ხანში დასჭირდეს“ — ირონიით წერდა მაშინ დასავლეთის პრესა.

ორგანიზატორები ცდილობენ გააღვივონ ინტერესი ავტორბოლისადმი. სისხლი, ცეცხლი, სიკვდილი — აი, ის, რასაც მათი აზრით შეუძლია დიდი მოგების მოტანა. რამდენიმე წელია მიმდინარეობს კულისებსმიღმა ბრძოლა საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ ბალესტრსა და ავტომობილების კონსტრუქტორთა კავშირის თავმჯდომარე ეკლესტოუნს შორის, რომელიც თავის მხრივ კლუბ „ბრებჰემის“ მფლობელიცაა და მონაწილეობს „გრან-პრის“ გათამაშების ორგანიზაციაში ზოგიერთი ქვეყნის ტრასებზე. „რბოლები პირველ რიგში უსაფრთხო უნდა იყოს,— ამტკიცებს ბალესტრი — ამიტომ აუცილებელია სისწრაფის შეზღუდვა ტრასებზე, რომელთა უმრავლესობა, და მათ შორის ნიუბურგის რკალი, უკვე უვარგისია მსგავსი სისწრაფისთვის“.

ეკლესტოუნს მხოლოდ ფინანსური ინტერესები ამოძრავებს, მასავიწყდება, რომ მათ მიერ კონსტრუირებული ავტომანქანის საჭესთან ადამიანები სხედან. ამიტომ მისი დევიზია — „სისწრაფე და კიდევ სისწრაფე“. მისი აზრით, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ დაკარგავს მიმზიდველობას რბოლები.



დიდი გაჭირვება აიძულებს მრბოლელებს მიუსხდნენ „ფერარის“, „მაკლერენის“, „ლოტუსის“ „ბრებჰემის“ საჭეს. მათი სიცოცხლის განმკარგულებლები არიან ეკლესტოუნის ტიპის „საჯინიბოს“ მეპატრონენი.

გამარჯვების შემთხვევაში სოლიდური თანხის მიღების შესაძლებლობა ძალიან ხშირად სპორტსმენებს ტრასებზე წესრიგსა და ჯენტლმენურ ქცევას ავიწყებს. ლაუდას აზრით, ახალზელანდიელი ავტომრბოლელის კოლ იოლნევის სიკვდილში ბრალი მიუძღვის დასავლეთგერმანელ მრბოლელს იოხენ მესს, რომელმაც უხეშად დაარღვია მანძილის დაცვის წესი.

„გრან-პრიზე“ ავტორბოლების „მოჯადოებული წრიდან“ თავის დაღწევა ვერ შეძლო ნიკი ლაუდამ. ფინანსურმა გაჭირვებამ აიძულა იგი ამჯერად „მაკლერენის“ საჭეს მისჯდომოდა. პირველივე საწვრთნელ გაძლაზე მისი სიცოცხლე კვლავ ბეწვზე ეკიდა: დიდი სისწრაფის გამო მანქანას ბორბალი მოტყდა...

...განკარგულება „სტარტზე!“ და ურჩხულები ჯოგი გაუგონარი სისწრაფით მიაქროლებს მრბოლელებს, ხოლო თითოეული მათგანის გვერდით მოკალათებულია სიკვდილი, რომელიც თავის საათს ელოდება. (საკდესი).

* * *

სურათებზე: რ. პალეტა (მარცხნიდან მეორე) სტარტის წინ ასპარეზობის მონაწილეთა შორის; ერთ-ერთ მოხახვევში აი, ასე მოძვრა ბორბალი პალეტის მანქანას; ცეცხლმოდებულ მანქანას ამაოდ უტევდნენ მეხანძრეები.

● საპარაშუტო სპორტი

ნიკოლოზ უშმაევის მეთაურობით

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ლუჩენეცში დაიწყო საპარაშუტო სპორტში მსოფლიოს XVI ჩემპიონატი. შეჯიბრებაში, რომელიც ტარდება დევიზით „სპორტი — ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისთვის“, 26 ქვეყნის 192 წარმომადგენელი მონაწილეობს.

საბჭოთა ნაკრებში, რომელსაც სათავეში უდგას მსოფლიოს ორგზის აბსოლუტური ჩემპიონი თბილისელი ნიკოლოზ უშმაევი, არიან აგრეთვე ვ. ვალიუნასი, ვ. კოლესნიკოვი, ა. დინო, ა. მილოვანოვი, მსოფლიო ჩემპიონი ქალი ა. შვაჩკო, ლ. კორიჩევა, ე. ბუროკოვა, თ. ლისიუკი და ე. კაროტკოვა.

ჩემპიონატზე, რომელიც 20 აგვისტოს დამთავრდება, სპორტსმენები მედლებს საპარაშუტო სპორტის თითქმის ყველა სახეობაში გაითამაშებენ.

რედაქტორი ა. ბასილაია

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 74)
10 აგვისტო
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა
II ლიგა, IX ზონა
„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი)
დასაწყისი 18 ს. 30 წთ.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-17, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; კადრების — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-53; ხემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
უე 09356